



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება:ბ49. 49233132

თარიღი:09/11/2023

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟიორის შერჩევის კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 84¹-ე მუხლისა და „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის N177 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟიორის შერჩევის კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:
 - 1) გელა თათარაშვილი - საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, კომისიის თავმჯდომარე;
 - 2) ალექსანდრე დადუნაშვილი - საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
 - 3) ქეთევან კირტავა - საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი, კომისიის მდივანი;
 - 4) მაია ბერაძე - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;
 - 5) ირინა ჩაკვეტაძე - საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი.
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს - გელა თათარაშვილს.
3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-

გამოყენებულია კვალიფიციური
 ელექტრონული ხელმოწერა/
 ელექტრონული შტამპი

